GEORGISCH

საინფორმაციო ფურცელი

მრავალენოვანი დამოკიდებულება ოჯახში

თქვენი ბავშვი მრავალენოვან გარემოში იზრდება? გილოცავთ: თქვენ მას განსაკუთრებულ შესაძლებლობებს სთავაზობთ! როგორც წესი, მრავალენოვანი გარემოში ბავშვები მარტივად სწავლობენ სხვა ენას. ამაში შეგიძლიათ მხარი დაუჭიროთ თქვენს შვილს.

ოჯახში მრავალენოვანი გარემო

GEORGISCH

რა ენაზე უნდა ისაუბროთ სახლში? - მშობლების მშობლიურ ენაზე!

კარგია, თუ დედა და მამა ან ოჯახის თითოეული წევრი ბავშვს ესაუბრებიან იმ ენაზე, რომელზეც კომუნიკაცია მათ ყველაზე კარგად შეუძლიათ და თავს ყველაზე უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობს. ეს კი არის თქვენი მშობლიური ენა. თქვენს შვილს თქვენ სჭირდებით, როგორც მისაბაძი მაგალითი, რათა მან შეძლოს ამ ენის მყარად და საფუძვლიანად შეძენა. ამავე დროს, მას ამით ეძლევა კარგი წინაპირობები სხვა ენების შესასწავლად.

რეგულარულად ბაგა ბაღში სიარული საუკეთესო გზაა გერმანული ენის შესწავლაში!

არ ინერვიულოთ, თუ თქვენი ბავშვი არ ფლობს გერმანულ ენას, საბავშვო ბაღში მისვლამდე. ამის მიუხედავად, გააგრძელეთ შვილთან საუბარი თქვენს მშობლიურ ენაზე. ის გერმანულს სწავლობს კომუნიკაციის საშუალებით აღმზრდელებთან და დაწესებულების სხვა ბავშვებთან. იმისათვის, რომ ეს მოხდეს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ბავშვი რეგულარულად დადიოდეს საბავშვო ბაღში. რაც უფრო ხშირად იმყოფება თქვენ შვილი გერმანულენოვანი ბავშვების გარემოცვაში - მაგ. თამაშობს მათთან ერთად საბავშვო ბაღში, სათამაშო მოედანზე ან ტანვარჯიშის კლუბში - მით უფრო სწრაფად ისწავლის გერმანულ ენას ბუნებრივად.

ბავშვები ერთმანეთში ერევენ ენებს!

არცთუ იშვიათია, როცა ბავშვები ახალი ენის სწავლის ფაზაში გარკვეულ შეცდომებს უშვებენ. ხშირად ეს შეცდომები აჩვენებს, რომ ბავშვები გერმანული ენის სწავლისაკენ მიმავალ სწორ გზაზე დგანან. მაგ. ისინი სიტყვებთან ტოვებენ სქესის გამომხატველ სიტყვას, არტიკლს („gib mir Blatt“ ნაცვლად „gib mir das Blatt“) ან შეცდომებს უშვებენ წინადადებებში წინდებულებთან მიმართებაში („bei Baum“ ნაცვლად „auf dem Baum“). ხშირად მრავალენოვანი ბავშვებს ერთმანეთში ერევათ ორი ენა, მაგ. „ეს არის ჩემი Ball” რაც ენობრივი კომპეტენციის გაზრდის ნიშანია. თუ რაიმეში ეჭვი გეპარებათ ან გაქვთ რაიმე შეკითხვები, შეგიძლიათ დახმარება და რჩევა მიიღოთ საბავშვო ბაღის პედაგოგებისგან ან თქვენი პედიატრისგან.

ჩემი შვილი უცებ მხოლოდ გერმანულად ლაპარაკობს!

ზოგი ოჯახი აცხადებს, რომ არსებობს ფაზები, როდესაც ბავშვები საუბრობენ მხოლოდ გერმანულად და უარს ამბობენ ოჯახის ენის გამოყენებაზე. სანერვიულო არაფერია. განაგრძეთ ჩვეულებრივად თქვენს ენაზე საუბარი თქვენს შვილთან. როგორც მსმენელს, თქვენს შვილს შეუძლია განავითაროს თქვენი ენა და მოგვიანებით კვლავ ისაუბრებს მასზე.

ლაპარაკი სახალისოა!

ესაუბრეთ თქვენს შვილებს ბევრი და ხშირად მათი გამოცდილების შესახებ. მოუყევით მათ ისტორიები, წაუკითხეთ წიგნები, ან ერთად ითამაშეთ თამაშები. განურჩევლად იმისა, თუ რომელ ენობრივ კომპეტენციას აირჩევთ, თქვენ საშუალებას მისცემთ თქვენს შვილს დააკავშიროს პოზიტიური გრძნობები და გამოცდილებები მშობლიურ ენასთან და, შესაბამისად, ხელი შეუწყოს მის განვითარებას.

მრავალ ენაზე გაზრდა შესაძლებელია!

თქვენ შეგიძლიათ შეუწყოთ ხელი თქვენს შვილს მულტილინგვური ენის შეძენაში, თუ მას შესაძლებლობას მიცემით თქვენი მშობლიური ენა და კულტურა და ასევე გერმანული ენა გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციაში, რაც შეიძლება ხშირად. ისევე როგორც თქვენი მშობლიური ენა და კულტურა, ასევე გერმანული ენა უნდა გახდეს მნიშვნელოვანი თქვენი შვილისთვის. თქვენი სწორი მიდგომა ბავშვის ყველა ენისადმი რომელსაც იმ ფლობს, მათ მიმართ მადლიერი დამოკიდებულება არის მნიშვნელოვანი წინაპირობა, რომელიც მოტივაციას აძლევს თქვენს შვილს გამოიყენოს მისი მიერ დაუფლებული ენები და განავითაროს ენობრივი ცოდნა თქვენს მშობლიურ და ასევე გერმანულ ენაზე. ასე ამზადებთ თქვენს შვილს საბავშვო ბაღისა და სკოლისთვის.

LakoS
Landeskompetenzzentrum zur Sprachförderung an Kindertageseinrichtungen in Sachsen

Weitere Informationen finden Sie unter:
www.lakos-sachsen.de

Diese Maßnahme wird mitfinanziert durch Steuermittel auf der Grundlage des vom Sächsischen Landtag beschlossenen Haushaltes.

SACHSEN